სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება, 28.03.2017

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს მიერ გადმორიცხული საკომპენსაციო თანხების განკარგვის წესის შესახებ

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის (ზსმფ) უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების VIII მუხლის თანახმად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო (SDSU-G) ახორციელებს ფაკულტეტისთვის საკომპენსაციო თანხების გადახდებს როგორც SDSU-G პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპენსაციის მხრივ, ასევე მომსახურებისა და შესყიდვების თვალსაზრისით, რითაც უკვე არაერთი აქტივობა დაფინანსდა. ამავე დროს, ვითვალისწინებთ რა აღნიშნული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებით გაწერილ ორმხრივ ვალდებულებებს, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ 2017 წელს გადმორიცხული საკომპენსაციო დაფინანსებიდან გამოიყოს თანხები: **1.** ორგანული ქიმიის ლაბორატორიის დასაკომპლექტებლად ახალი მდებარეობით, რომელიც ათავისუფლებს მისთვის ტრადიციულად განკუთვნილ ფართს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის პროგრამისთვის და გადადის თსუ-ს II კორპუსის აუდიტორია 048-ში; **2.** ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ წელს ამ დაფინანსებიდან გამოიყოს თანხები „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ პროგრამის ლაბორატორიის აღჭურვისთვის და **3.** „კომპიუტერული მეცნიერებების“ პროგრამისთვის სპეციალიზირებული კომპიუტერული კლასის დასაკომპლექტებლად (ეს ორი პროგრამა გადის ABET აკრედიტაციას SDSU-G ვალდებულებების შესაბამისად და აშკარაა, რომ მათი თანამედროვე სტანდარტების მქონე ლაბორატორიებით/კლასებით აღჭურვა ამ მიზნის განსახორციელებლად უაღრესად საშურია).

ამასთან ერთად მიზანშეწონილად ვთვლით, რომ რადგანაც ზსმფ აღნიშნული თანამშრობლობის ჩანასახიდანვე ჩართული გახლდათ/გახლავთ ყველა შესაბამის აქტივობაში, ფაკულტეტის განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების VIII მუხლში შევიდეს შესწორება და შემდეგ წელს გადმორიცხული კომპენსაციის თანხები აისახოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, შეიცვალოს ამ თანხების განკარგვის წესი ისე, რომ ამ ფინანსებით ჩვენი ფაკულტეტის სხვა მიმართულებებმაც ისარგებლონ. აშკარაა, რომ ზსმფ-ის განვითარება მხოლოდ გააუმჯობესებს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს პროგრამების განხორციელების შესაძლებლობებსა და პროცესს. აღნიშნული საკითხის დასმა ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან დაევალოს ფაკულტეტის დეკანს.